პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 160 (12672) | სამშაბათი, 9 ივლისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ვიმუშაოთ რენტაბელურად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა განიხილა იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები. პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა უნდა წარმოებდეს ცხოვრებასთან განუყრელი კავშირით, უნდა ვიბრძოდეთ იმისათვის, რომ მიღებული ცოდნა ეხმარებოდეს მშრომელებს მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს წარმოებაში, ხელს უწყობდეს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრებას საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები, ერთსულოვნად მოიწონა ისინი და კონკრეტული ამოცანები დაუსახა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების სა კმეში. პლენუმმა აგრეთვე მიიღო დადგენილება მიმდინარე წლის 24 დეკემბერს მოწვეულ იქნას საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა.

საქართველოს სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტების, საფაბრიკო და საქარხნო პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. რენტაბელური მუშაობისათვის, ზეგეგმით მოგებისათვის და ამით ღირსეული შრომითი საჩუქრები მოუმზადონ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებისათვის ბრძოლის ყოველი დღე იძლევა ხალხის შრომითი მეშრომრობის, გაბედული შემოქმედებითი შემართების უამრავ მკაფიო მაგალითს, უყველგან ჩქეფს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და ნოვატორთა ინიციატივა შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მიღწევისათვის, წარმოების რენტაბელობისათვის.

დღეს წარმოება, რომელიც ზარალით მუშაობს და მოგებას არ იძლევა, ყოველად შეუწყნარებელია.

საწარმოს მოგების საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — როგორც მისი საქმიანობის ეკონომიურ მაჩვენებელს. როგორ მუშაობს საწარმო — ზარალით თუ მოგებას იძლევა, ფლანგავს საზოგადოებრივ საშუალებებს თუ ამრავლებს მათ— ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების აღურიცხველად შეუძლებელია გამოვარკვიოთ, რა დონეზე დგას საწარმოს მეურნეობის გაძღოლა და როგორი წვლილი შეაქვს მას საერთო-სახალხო ფონდში.

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების რენტაბელობისათვის. საწარმოებისადმი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა საწარმოთა ეკონომიური მაჩვენებლები. რესპუბლიკის მრეწველობამ ექვსი თვის გეგმა ვადამდე შეასრულა. გამოშვებული პროდუქციის მოცულობა წლის პირველ ხუთ თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 6,4 პროცენტით. მნიშვნელოვნად შემცირდა საწარმოო ხარჯები და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომია რამდენიმე მილიონ მანეთს აჭარბებს.

ამ საერთო წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა წლების განმავლობაში სახელმწიფოსაგან მილიონობით დოტაციას იღებდა. მიმდინარე წელს ავტომშენებლებმა უარი თქვეს სახელმწიფო დოტაციაზე და მტკიცედ გადაწყვიტეს მიიღონ რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“. ექვსი თვის მუშაობის შედეგები ამისი ბრწყინვალე დადასტურებაა. განვლილ პერიოდში წარმოების კოლექტივმა რენტაბელურად იმუშავა, მთლიანად დაფარა სადოტაციო თანხა და მიიღო 70 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

ქუთაისელთა მაგალითისამებრ დოტაციაზე უარი განაცხადა თბილისის სართავ-სანრიოლაჟო კომბინატის კოლექტივმა. განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები მტკიცე საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ფეიერები გაბედულად დაადგნენ რენტაბელური მუშაობის გზას და ზეგეგმითი ეკონომიისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მტკიცე ნაბიჯით მიიწევენ წინ. შვიდწლედის მეხუთე წლის მარტო ხუთ თვეში ფეიერებმა თვითღირებულების შემცირებით და მასალების ეკონომიით მიიღეს 156 ათასი მანეთის ეკონომია, რითაც წლიური დაგროვების გეგმას უკვე 20 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

ჰიათურის მაღაროებში შეაჯამეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის შედეგები. გამოირკვა, რომ მარგანეცის ტრესტმა განვლილ პერიოდში 278 ათასი მანეთი დაზოგა. ცხადია ტრესტის ეკონომიური მაჩვენებელი უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა მაღაროს რენტაბელურად ემუშავნა. მარტო რგანის მაღარომ 85.500 მანეთი გადახარჯა.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა მეტი ნაწილი ასრულების თვითღირებულების შემცირების დარგში დაწესებულ დავალებებს, აუმჯობესებს წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს, იძლევა მოგებას. ყოველწლიურად მცირდება არარენტაბელურ, ზარალის მომცემ საწარმოთა ხვედრითი წონა. ოთხი წლის განმავლობაში იგი 28.8 პროცენტიდან შემცირებულ იქნა 17.9 პროცენტამდე.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდია იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც უშვებენ დიდ გადახარჯვებს, შემცირების ნაცვლად ზრდიან პროდუქციის თვითღირებულებას და ამით სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებენ. წელს თვითღირებულების შემცირების გეგმა არ შესრულებია ბევრ საწარმოს. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან მსუბუქი, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის საწარმოები. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება განსაკუთრებით გაადიდეს ნოსტიის აგურის ქარხნის, აჯამეთის საშენ მასალათა კომბინატის, თბილისის № 1 და ბათუმის № 2 ტყავის ქარხნების კოლექტივებმა.

თუ ღრმად ჩავუფიქრდებით იმ საწარმოთა საქმიანობას, რომლებიც ზარალით, არარენტაბელურად მუშაობენ, ნათლად დავინახავთ, რომ წარმოებაში არის თვითღირებულების დიდი შემცირების რეზერვები, მაგრამ წარმოების ხელმძღვანელები ანალიზს არ უკეთებენ ყოველი თვის მუშაობას, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ გადახარჯვების სალიკვიდაციოდ, თვითღირებულებაზე აგდებენ საქმეს და ამით სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებენ. ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელები მარტო გეგმის შესრულებით კმაყოფილდებიან, ანალიზს არ უკეთებენ გეგმის შესრულებას, არ იციან რა იმალება მის უკან. თუ გეგმა შესრულდა და დაუშვი დიდი გადახარჯვები, ასეთი შესრულება არაფრის მაქნისია.

ყოველად შეუწყნარებელია საწარმოები, მათი ხელმძღვანელები, რომლებიც თვიანთი უხეირო მუშაობით უკან სწევენ ჩვენს ეკონომიას. საჭიროა უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ მთელი ჩვენი სამეურნეო და ორგანიზაციული მუშაობა. პროდუქციის თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია. რომლებიც ახასიათებს საწარმოს მუშაობის ხარისხს. თვითღირებულება კონცენტრირებულად ასახავს, თუ რამდენად მომჭიხნეობთ და აყირთიანად უძღვება მეურნეობას ესა თუ ის ხელმძღვანელი, რამდენად უნარიანად იყენებენ საწარმოები პირველხარისხოვან ტექნიკას, როგორ არის მოწყობილი საწარმოში ადამიანთა შრომა, როგორ ზრუნავენ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს.

სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტების, ძირეული პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო მუშაკების საარსებო ამოცანაა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად და მიაღწიონ თვითეული საწარმოს რატმულ მუშაობას, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ნოვატორებსა და წარმოების მოწინავეებს, რომლებიც ისწრაფვიან გაადიდონ წარმოება, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, იმუშაონ რენტაბელურად.

მივაღწიოთ რენტაბელურ მუშაობას, დავზოგოთ რაც შეიძლება მეტი თანხები, დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმე — ამას მოითხოვს პარტია, ხალხი!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ დ. ა. ჯიოევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, დამსახურებისათვის და დამბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი დავით ანტონის-ძე ჯიოევი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 8 ივლისი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პ. სპაააკი

კიევი, 8 ივლისი. (საკადესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც კიევში იმყოფება, 8 ივლისს მიიღო ბელგიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი პ. სპააკი და ესაუბრა მას. საუბრის დროს გაიმართა აზრთა სასარგებლო გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

საუბარი გულახდილობისა და ურთიერთ გაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში პ. ი. გერასიმოვი; ბელგიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი რ. როტშილდი, ელჩი ა. დესტარკი და ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ი. კოოლსი.

საუბრის დამთავრების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა პ. სპააკის პატივსაცემად.

პოლ-ანრი სპააკი მოსკოვს ჩამოვიდა

7 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შესახვედრად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბელგიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი პოლ-ანრი სპააკი. (საკადესი).

მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებს

მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალი, ისევე როგორც მოსკოვში წინათ გამართული ფესტივალები, მიმდინარეობს დევიზით „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“, რომელიც შეესაბამება კაცობრიობის ყველაზე საარსებო ინტერესებსა და მისწრაფებებს.

მოსკოვის ფესტივალი მსოფლიო კინოხელოვნების ყველაზე წარმომადგენლობითი და დემოკრატიული ფორუმია. ამ ფესტივალში მონაწილეობს 55 ქვეყანა, მათ შორის ქვეყნები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ვახთავისუფლდნენ კოლონიური უღლისაგან და წარმატებით ავითარებენ თავიანთ ეროვნულ კინემატოგრაფიას. მოსკოვის ფესტივალი საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს იწვევს, რადგან ფესტივალის იდეები მახლობელი და გასაგებია ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასებისათვის.

საბჭოთა მაყურებლები მოიწონებენ და მადლობით შეხვდებიან ფილმებს, სადაც ღრმად და სიმართლით არის განსახიერებული ჩვენი დროის პროგრესული იდეები, რომლებიც გამსჭვალულია მაღალი ჰუმანიზმითა და მოქალაქეობრივობით, ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებით, ადამიანთა ზნეობრივ და ინტელექტუალურ სილამაზეს და თანამედროვეობის უაღრესად მწვავე კითხვებზე პასუხს იძლევიან მხატვრული სახეების მოუსყიდავი სიმართლით.

მოხარული ვარ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მივესალმო მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქში.

მხურვალედ ვუსურვებ ფესტივალზე წარმოდგენილი ქვეყნების კინოხელოვნებას და ყველა მის მონაწილესა და სტუმარს დიდ შემოქმედებითს წარმატებებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მაღალი იდეალების სამსახურში!

ნ. ხრუშჩოვი.

ჰუმანიზმისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის

საზეიმოდ გაიხსნა მოსკოვის მე-3 საერთაშორისო კინოფესტივალი

მოსკოვი, 8 ივლისი. (საკადესის კორ.). მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალი დაიწყო არსებითად 9 საათით ადრე მის ოფიციალურ გახსნამდე. გუშინ დილიდანვე მოსკოველები მიაწყდნენ კინოთეატრებს „რუსეთს“, „კოსმოსს“, ლუჟნიკის სპორტის სასახლეს, სადაც უჩვენებენ კონკურსგარეშე ფილმებს.

მანეჟის მოედანზე მოწყობილია გამოფენა. თუ ამ სტენდებს ჩაუვლით, შეგიძლიათ წარმოდგენა იქონიოთ, რა ფილმებს უჩვენებს მოსკოვში ყოველი მონაწილე ქვეყანა.

საფესტივალო მუშაობა დაიწყო დილით ქიურის პირველი სხდომით. მხატვრული ფილმების ქიურის თავმჯდომარედ არჩეულია საბჭოთა რეჟისორი გ. ჩუხრაი. დოკუმენტური ფილმების ქიურის მეთაურობს აგრეთვე საბჭოთა რეჟისორი ი. კოპალინი.

ყრილობათა სასახლის ვეებერთელა დარბაზში ფესტივალის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბა სულ ცოტა ექვსი ათასი მოსკოველი და ფესტივალის მონაწილე.

წითელი ქსოვილით მორთულ ავანსცენაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. რომანოვი, საორგანიზაციო კომიტეტისა და კინოკონკურსის ქიურის წევრები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა სახელით ამბ. რომანოვი გულთბილად მიესალმა მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალის დელეგატებსა და სტუმრებს.



წმიდათა წმიდა ბძოლაში მშვიდობისათვის, — თქვა შემდეგ ამბ. რომანოვმა, ყველაზე მასობრივი ხელოვნების წარმომადგენლებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. კინოს ყველა მოღვაწის ვალია ბრძოლა აწარმოოს რეაქციის, მილიტარისტთა წინააღმდეგ.

ა. ვ. რომანოვმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი მოსკოვის კინოფესტივალის მონაწილეებისადმი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამ წერილს დანწერენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომი თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი მოსკოველთა სახელით მიესალმა მოსკოვის კინოკონკურსის მონაწილეებს, უსურვა მათ შემოქმედებითი წარმატებანი, ჯანმრთელობა და კარგი განწყობილება.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ვ. რომანოვმა მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალი გახსნილად გამოაცხადა. შესრულდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

იმავე დღეს ფესტივალის პირველ საკონკურსო სურათად უჩვენეს საბჭოთა ფილმი „იცნობდეთ, ბალუევეა“. ნაჩვენები იყო აგრეთვე იტალიელი რეჟისორის ნანი ლოის კონკურსგარეშე ფილმი „ნეაპოლის ოთხი დღე“.

სურათზე: მოსკოვის III საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ცემენტის მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თავდადებული შრომისათვის და ცემენტის გამოშვების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებასა და ათვისებაში მაღალ მაჩვენებლებისა მიღწევისათვის და ცემენტის მრეწველობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს medali „წამპალი და შრომა“:

1. მორდვინცევს პეტრე ივანეს-ძეს — ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს სებრიაკოვის ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელების მემანქანეს.

2. პერშინს თევდორე ივანეს-ძეს — ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანა „ოქტომბრის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანეს.

3. სკოლოზდრეს მიხეილ ანდრიას-ძეს — ღვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიკოლაევის ცემენტ-სამთო კომბინატის მბრუნავი ღუმელის მემანქანეს.

4. ჩიბროვს ვიქტორ ვასილის-ძეს — ვოლგისპირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვოლსკის ცემენტის ქარხანა „ბოლშევიკის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1963 წლის 8 ივლისი.

სახელოვანი გზა

ნ. ს. ხრუშჩოვის მილოცვის წერილი ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებს

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა 6 ივლისს მისასალმებელი წერილი გაუგზავნა მოსკოვის ოლქის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებს იმასთან დაკავშირებით, რომ აქ სოფელ გორკიში იხსნება ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, კოლმეურნეობის საპატიო თავმჯდომარის ივანე ანდრიას-ძე ბუიანოვის ბიუსტი.

პარტია და საბჭოთა ხალხი ამაყობენ თავიანთი გმირებით, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ამაყობენ ისეთი ადამიანებით, როგორიცაა ივანე ანდრიას-ძე ბუიანოვი. გზა, რომელიც ივანე ანდრიას-ძემ განვლო, პროლეტარის სახელოვანი გზაა.

მუშათა კლასმა, კომუნისტურმა პარტიამ იგი გაგზავნეს როგორც თავიანთი წარმომადგენელი 25-ათასელთა რიცხვში მშრომელი გლეხობის დასახმარებლად. ივანე ანდრიას-ძე ბუიანოვმა ღირსეულად შეასრულა პარტიისა და მუშათა კლასის ეს დავალება. მან გააერთიანა მშრომელი გლეხობა და მოსკოვის მიდამოების მიწებზე, გლეხთა აქტივზე დაყრდნობით, შექმნა დიდად განვითარებული კოლექტიური მეურნეობა.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის განვითარების ისტორია, მისი სანატიო თავმჯდომარის ი. ა. ბუიანოვის ბიოგრაფია არის ისტორია ჩვენი გლეხობის ბრძოლისა ახალი საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაიხსენა, რომ ჩვენმა დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა 1921 წლის იანვარში სიტყვა წარმოთქვა სოფელ გორკაში და აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინი მუდამ ისწრაფოდა, ცოცხალი კავშირი ჰქონოდა ხალხთან და ყველაფერს აკეთებდა ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალიზმ ი ს, კომუნიზმის მშენებლობის, იმ ახალი სამყაროს აშენების დიადი საქმის განსახორციელებლად, სადაც არ იქნებოდნენ მჩაგვრელები და ჩაგრულები.

დღევანდელ მოვლენასთან — ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობაში ი. ა. ბუიანოვის ბიუსტის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით, წერს შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, მე მინდა მივმართო ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარ ე ს, საბჭოთა მეურნ ე ო ბის დირექტორს, კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს, მშრომელ კოლმეურნე გლეხებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, განსაკუთრებით იმ მეურნეობებისა, სადაც ჯერ კიდევ დაბალია მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე,—დაე შეისწავლონ მათ ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის ისტორია და ივანე ანდრიას-ძე ბუიანოვის ბიოგრაფია. ისინი დაინახავენ, თუ როგორ შეძლო ამ თავმდაბალმა მშრომელმა, უბრალო მუშამ, მაგრამ დიდსულოვანმა, დიდი პასუხისმგებლობისა და კომუნისტური საქმისადმი უაღრესად ერთგულმა ადამიანმა გაერთიანებინა გლეხთა კოლექტივის ძალები და შეექმნა სანიმუშო მეურნეობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ნანობს, რომ ვერ ესწრება ზეიმს ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობაში, ვინაიდან ამჟამად კიევში იმყოფება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი მიულოცავს ივანე ანდრიას-ძეს, კომუნისტებს, კომკავშირელ ებ ს, სპეციალისტებს, კოლმეურნეობის ყველა მშრომელს დიდ დღესასწაულს და უსურვებს ახალ, კიდევ უფრო შესანიშნავ წარმატებებს შრომაში და ბედნიერებას ცხოვრებაში.

„ჩვენ ვიგრძენით კოლექტიური შრომისა და ბედნიერი ცხოვრების სიხარული“

ი. ა. ბუიანოვის გრინჯაოს ბიუსტის გახსნა მის სამშობლოში

ბორკი (მოსკოვის ოლქი), 6 ივლისი. (საკადესის კორ.). დღეს აქ მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრში დიდი ზეიმია. კულტურის სახლის წინ მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ივანე ანდრიას-ძე ბუიანოვის ბრინჯაოს ბიუსტი.

უბრალო მუშა, დიდსულოვანი ადამიანი 27 წელზე მეტ ხანს მეთაურობდა ამ სასოფლო-სამეურნეო არტელს და ერთ-ერთი პირველი ადგილი დაუმკვიდრა მას ჩვენს ქვეყანაში. და ახლა უკვე დამსახურებული დასვენების შემდეგ, ი. ა. ბუიანოვი ერთსულოვნად აირჩიეს კოლმეურნეებმა კოლმეურნეობის საპატიო თავმჯდომარედ. იგი ღირსეულად ასრულებს ამ მოვალეობას და თავის გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებს ამხანაგებს.

კოლმეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ ას ჰექტარზე აწარმოვა 885 ცენტნერი რძე. და ყოველ ას ჰექტარ სახნავზე — 103 ცენტნერი ბორცი. კოლმეურნეობამ თითოეულ ჰექტარზე მოიწია 25 ცენტნერი მარცვლეული, სახელმწიფოს მიჰყიდა 2 მილიონ 800 ათასი ცალი კვერცხი, 2500 ცენტნერი ხილი და კენკროვანები, 250 ცენტნერი ჭანარი. კოლმეურნეობის შემოსავალმა შარშან 1 მილიონ 480 ათასი მანეთი შეადგინა. შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ არტელის მშრომელები.

ჩვენ ვიგრძენით კოლექტიური შრომისა და ბედნიერი ცხოვრების სიხარული, წერენ კოლმეურნეები. გადავწყვიტეთ წელს მივაღწიოთ მესამე მიჯნას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახა. რძისა და ხორცის გაყიდვის ნახევარი წლის გეგმა ჩვენმა კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა. წარმატებით ვშრომობთ ჩვენს მინდვრებზე და მეცხოველეობის ფერმებში. გული სავსეა სიხარულით და საქმეც კარგად მიდის.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები სულით და გულით უსურვებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

(საკადესი).

მეგობრების გასტროლები

ორი სპექტაკლი

თბილისელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს კომპოზიტორ ყარა ყარაევის ბალეტისადმი — „ქუხილის ბილიკით“, რომელიც გასულ კვირას წარმოდგინეს ჩვენმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა. იგი შექმნილია აფრიკელი მწერლის ჯ. აბრახამსის ამავე სახელწოდების რომანის საფუძველზე და რასიზმის მხეცური კანონების წინააღმდეგ პროტესტის დიდი ჰუმანისტური იდეით არის გამსჭვალული.

სპექტაკლის დამდგმელია სსრ კავშირის სახალხო არტისტი კ. სერგეევი, მხატვარი ვ. დორერი. მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. მამედოვი (ლენი), რესპუბლიკის სახალხო არტისტები ლ. ვეექილოვა (სარი), კ. ბატაშოვი (მაკო), მსახიობები ე. ალმაზოვა (ლიზი) და მ. ელიოზოვა (ლენის დედა).

დიდი შთაგონებითა და ოსტატობით მიჰყავდა ორკესტრი სსრ კავშირის სახალხო არტისტს ნიაზის.

გუშინ ბაქოს საოპერო თეატრის კოლექტივმა თბილისელებს უჩვენა უზენარ ჰაჯიბეკოვის ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“, რომელიც შექმნილია დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამის ამავე სახელწოდების პოემის მოტივებზე. ლიბრეტო თვით ოპერის ავტორს ეკუთვნის.

სპექტაკლში ლეილის პარტიას ასრულებდა ზ. ხანლაროვა, ხოლო მეჯნუნის პარტიას — ბ. გაშიმოვი. დანარჩენ როლებში გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. კაფაროვი, ს. ატამოვა, გ. ისკენდეროვი, კ. გუსეინოვი, მსახიობები ზ. მაგერამოვა, გ. გუბადოვი, მ. თოფჩიევი. დირიჟორობდა კ. ალიევრდიბეკოვი.

გაქო ტაშს უკრავს...

ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ბაქოდან გვაცნობა:

აზერბაიჯანის დედაქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის გასტროლები. ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატთა ყოველ ახალ სპექტაკლს ახალი სიხარული და ჭეშმარიტი ესთეტიკური სიამოვნება მოაქვს აქაური მაყურებლისათვის.

რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთები „კომუნისტი“ (აზერბაიჯანულ ენაზე) და „ბაკინსკი რაბოჩი“, ბაქოს საქალაქო და საოლამოს გაზეთები აშუქებენ გასტროლების მიმდინარეობას. „კომუნისტმა“ და „ბაკინსკი რაბოჩიმ“ გასტროლების გახსნის დღეს მთელი გვერდები მიუძღვნეს ამ მოვლენას. აქ გამოქვეყნებული იყო თბილისის საოპერო თეატრის მსახიობების, აგრეთვე აზერბაიჯანული ხელოვნების ოსტატთა წერილები, რომლებიც მკითხველებს მომავალ გასტროლებზე მოუთხრობდნენ. აქ თქვენ შეხვდებით სსრ კავშირის სახალხო არტისტების ვ. ჭაბუკიანის, პ. ამირანაშვილის, ო. დიმიტრიადის, რესპუბლიკის სახალხო არტისტების ვ. წიგნაძის, ბ. კრავეიშვილის, ზ. კიკალეიშვილის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. ანდღულაძის, თეატრის დირიჟორის დ. მჭედლიძის და სხვათა საინტერესო, შინაარსიან წერილებს.

აზერბაიჯანელი მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ ქართველ ხელოვანთა გამოსვლებისადმი. ბაქოელებმა უკვე ნახეს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, დ. თორაძის „გორდა“, ბიზეს „კარმენი“, ალ. მაჭავარიანის „ოტელო“, რომლებიც მაყურებლთა დიდი მოწონებითა და გულთბილობით აღინიშნა.

გასულ კვირას, დილით წარმოდგენილ იქნა ლ. გერტელის ბალეტი „ამაო სიფრთხილე“, ხოლო საღამოს — პუჩინის ოპერა „ტოსკა“

სპექტაკლ „ტოსკას“ დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ფალაშვილი. მაღალოსტატურად შეასრულეს თავიანთი პარტიები და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ (კავარადოსი), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა (სკარპია), აგრეთვე მსახიობმა ზ. ხორავამ, რომელმაც პირველად იმღერა ფლორია ტოსკას ძნელი პარტია.

ბაქოელებს ჯერ კიდევ არ განელებოდათ ბალეტ „ოტელოსაგან“ მიღებული შთაბეჭდილებები, რომ ისევ მშვენიერი საბალეტო სპექტაკლის მოწმენი გახდნენ. გუშინ ნაჩვენები იქნა კომპოზიტორ სულხან ცინცაძის „დემონი“. სპექტაკლის ავტორია ვახტანგ ჭაბუკიანი. დირიჟორი — დ. მირცხულავა (რესპუბლიკის სახალხო არტისტი), მხატვარი — ი. ასკერავა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

მთავარი როლების შემსრულებლებმა ვ. ჭაბუკიანმა და ვ. წიგნაძემ ერთხელ კიდევ დიდი სიამოვნება მიანიჭეს მაყურებლებს. ამის ნათელი დადასტურება იყო ის მხურვალე ტაში, რომლითაც სცენაზე მათ ყოველ გამოჩენას ეგებებოდნენ.

მეგობრების

ყველა რეზერვი — ხალხის სამსახურში

სოფლის მშრომელთა წინაშე დგას დიდი ამოცანები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გაღიდების დარგში. ამისათვის აუცილებელია ავამაღლოთ მიწათმოქმედების და მეცხოველეობის კულტურა, უნარიანად მოვაწყოთ მუშაობა ყველა რგოლში, ფართოდ გამოვიყენოთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, შეუფერხებლად გამუშაოთ ტექნიკა. ყოველივე ამის გაკეთება კი შეუძლიათ იდეურად დარწმუნებულ, მომზადებულ, მაღალი საწარმოო კვალიფიკაციის მქონე ადამიანებს.

პარტიული ორგანოების სტრუქტურის საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნამ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა, უკვე მოგვცა სასიარულო შედეგები. შვიდწლეულის მეხუთე წლის განვლილ ხეთ თვეში გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დამზადებული 2.859 ცენტნერით მეტი ხორცი, 2.205 ცენტნერით მეტი რძე, 2.991.914 ცალით მეტი კვერცხი და 696 ტონით მეტი ბოსტნეული, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოცულობის გადიდებასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. მაგალითად, გასული წლის პირველ ივნისთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 3.304-თ, მათ შორის ფურებისა — 283 სულით. ამავე პერიოდში ცხვრის სულადობა გაიზარდა 2.055-თ. მეფრინველეობის ფერმებს შეემატა 183.780 ფრთა ქათამი, რომელთა დიდი ნაწილი კვერცხმდებელია.

მსხვილი მექანიზებული მეფრინველეობის ფერმების შექმნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოების გადიდებას. წელს მარტო სამგორის სოჭიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა აწარმოებს თერმიტნახევარ მილიონ ცალ კვერცხს და 290 ტონა ქათმის ხორცს. ეს მნიშვნელოვნად აღემატება ქათმის ხორცისა და კვერცხის იმ რაოდენობას, რასაც მთელი ჩვენი რესპუბლიკა 1954 წლამდე აწარმოებდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა წველადობა და კვერცხმდებლობა, რძისა და კვერცხის საერთო წარმოება. მაგალითად, თუ გასული წლის პირველ 5 თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებული იყო 609 კილოგრამი რძე, წელს ამავე პერიოდში მიღებულია 62 კილოგრამით მეტი. საერთო წველადობამ 46.590 ცენტნერამდე გადაჭარბა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა 573 ცენტნერს შეადგენს.

უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ცალკეულმა მოწინავე საზოგადოებრივმა მეურნეობებმა და ნოვატორმა მეცხოველეებმა. მაგალითად, ნორიოს, რუისბოლოს და მარტყოფის საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარე წლის ხუთ თვეში, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშუალოდ 120-160 კილოგრამით გაიზარდა თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა. ზოგიერთმა საბჭოთა მეურნეობამ უკვე მიაღწია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონეებს. მაგალითად, სამგორის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ჯერ კიდევ შარშან ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოვა 816 ცენტნერი რძე და 113 ცენტნერი ხორცი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მეურნეობაში ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მოდის 132 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 50 ფური.

გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს, სამმართველოს მუშაკებს, საბჭოთა მეურნეობების აქტივს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს კარგად ესმით, რომ ეს წარმატებები მხოლოდ შედარებითია და ჩვენ ჯერ კიდევ ვალში ვართ თბილისისა და რუსთავის მშრომელთა წინაშე. ამიტომ ახლა ჩვენი მუშაობის საზომი უნდა იყოს არა შედარებითი მაჩვენებლები, აიამედ ის, თუ რამდენად შეუფერხებლად უზრუნველვყოფთ ამ ქალაქების მოსახლეობის მეტი, იაფფასიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ეერსად ვერ გავექცევიით იმ არასასიამოვნო ფაქტს, რომ ჩვენში მოწინავეთა გვერდით ჯერ კიდევ არიან ისეთი საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებიც მოგების ნაცვლად ზარალით მუშაობენ, ფურ-კამეჩების ბერწიანობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად ვამოვიყენებთ მაკე ფაშტის შრატს. მეღორეობასა და მეცხვარეობაში უფრო ფართოდ დაინერგება მოზარდეულის დაკოდვა პროფესორ ბაიბურციანის მეთოდით, მეცხოველეობის 14 ფერმაში მოეწყობა კომპლექსური მექანიზაცია.

მეფრინველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მოწყობაში დახმარებას გვიწევს საქართველოს სსრ მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა სამგორის სოჭიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ჩვეულებრივი თაღური ტიპის საფრინველეში დადგეს ინსტიტუტის მიერ შემუშავებული როტორული ტიპის ხუთსართულიანი საქანელა, რომელშიც თავსდება 700 ფრთა ფრინველი 45-დან 90-მდე დღის ასაკისა. ეს საქანელა განკუთვნილია მხოლოდ გასასუქებელი ფრინველისათვის და მუდმივ ბრუნვით მოძრაობაშია. საქანელაში მექანიზებულია საკვების მიწოდება, სასაელის გაწმენდა და ფრინველის დარწყულება. ასეთი ტიპის საქანელით ერთ მეფრინველეს შეუძლია მოუაროს 16 ათას ფრთა ფრინველს. გარდა ამისა, ამ სიახლის დანერგვა საშუალებას იძლევა რაციონალურად გამოვიყენოთ საფრინველე ნაგებობანი.

ამავე მეურნეობაში დამთავრდა ახალი საფრინველე, სადაც დაიდგმება ასეთივე ტიპის 20 საქანელა. საბჭოთა მეურნეობის ფართოგაბარიტიან საფრინველეებში ინსტიტუტმა მოაწყო მეკვერცხული ფრინველის ღრმა საფენზე ელექტრომექანიზებული მოვლა-შენახვის ახალი ტექნოლოგიური ხაზი. აქ მოფიქრებულად არის გადაწყვეტილი სველი და მშრალი საკვების დარიგების, კვერცხის აკრეფა-ტრანსპორტირებისა და ფრინველის დარწყულების სამუშაოთა მექანიზაცია. არსებულ ტიპურ საფრინველეებთან შედარებით კომპლექსური ელექტრომექანიზებული დანადგარის გამოყენება ორჯერ ამცირებს შრომის პირდაპირ დანახარჯებს. მისი გამოყენებისას ყოველი 1.000 ცალი კვერცხის წარმოებაზე შრომის დანახარჯები შეადგენს 0,84 კაცსაათს, ხოლო 10 ცალი კვერცხის თვითღირებულება 28 კაპიკს არ აღემატება.

სამწუხაროდ; ყველა როდი გვეხმარება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვაში, სრულიადაც არ იწუხებენ თავს მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის სადამთავრების შემდეგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობათა გამართვა-დამონტაჟებაზე.

ვარტიული ცხოვრება

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებას, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველის — მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის. საჭიროა მხოლოდ ყველა საზოგადოებრივიმა მეურნეობამ გულმოდგინედ მოუაროს ნთესვებს და შეუქმნას კულტურულ მცენარეებს ნორმალური ზრდა-განვითარების პირობები.

ჩვენ მთელი სერიოზულობით მოვკიდეთ ხელი მებოსტნეობის განვითარებას და ვცდილობთ შეეძლოთ ბოსტნეულზე თბილისისა და რუსთავის მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება. შვიდწლეულის მეხუთე წლის განვლილ 5 თვეში გარდაბნელმა მებოსტნეებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 2.190 ტონა ბოსტნეული. ეს 696 ტონით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდში დამზადებული ბოსტნეულის ოდენობას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბოსტნეულის დამზადებასა და რეალიზაციაში სუსტად გვეხმარებიან სავაჭრო ორგანიზაციები. ამის შედეგად დიდძალი ბოსტნეული ფუჭდება და იძულებული ვართ პირუტყვის საკვებად გამოვიყენოთ. ეს მაშინ, როცა თბილისი და რუსთავი არცთუ იშვიათად განიცდიან სხვადასხვა ასორტიმენტის ახალი ბოსტნეულის ნაკლებობას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში მოპოვებული პირველი წარმატებანი უმთავრესად იმის შედეგია, რომ პარტიული კომიტეტისა და საწარმოო სამმართველოს მუშაკები, საზოგადოებრივი მეურნეობების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო ღრმად სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, კონკრეტულად ხელმძღვანელობენ საქმეს. მათი სამუშაო კაბინეტი მინდორი და ფერმაა, სადაც უშუალოდ წყდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ბედი. როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მტკივნეულ საკითხს ადგილზევე ვწყვეტთ. ამან საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა თათბირები, კრებები, სხდომები, ბოლო მოგვეღო ბიუროკრატიული მიწერ-მოწერებისათვის.

მინდვრებში, ვენახებში, ბოსტნებში ახლა ყველაზე პასუხსაგები დროა — მიმდინარეობს ნთესვების დამუშავება. მეტმა წილმა მეურნეობებმა უნარიანად მოაწყეს ეს სამუშაო. მაგრამ ცალკეული გამონაკლისებიც არის. ზოგან სათანადოდ არ ზრუნავენ მოსავლისათვის.

ამ დღეებში გარდაბნის რაიონის მშრომელები, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მთელ თავიანთ ძალებს იმისათვის წარმართავენ, რომ მოიყვანონ უხვი მოსავალი, სანმუშოდ მოემზადონ და კარგად მოაწყონ მისი აღება. ამ კეთილშობილური მიზნისათვის ბრძოლაში მათ აღაფრთოვანებს აგიტატორთა და პროპაგანდისტთა არმია. ქმედითად ვიყენებთ ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ბევრ ფორმას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ განთავისუფლებულან მავნე კაპიტალისტური გადმონაშთებისაგან და პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ.

შრომა ყველა სიკეთის წყაროა. ამიტომ ადამიანებში შრომითი ჩვევების დანერგვა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის ქვაკუთხედია და, მაშასადამე, საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მთავარი საზრუნავიც არის.

ვ. მირიანაშვილი,
საქართველოს კპ გარდაბნის საწარმოო სამმართველოს კომიტეტის მდივანი.

ყამირის ყვავილობა

თბილისის სადგური. მატარებლის გასვლამდე წუთიერი დარჩა. ნაირფერი ლამაზი ყვავილებით მოოთულია მატარებელი.

ჩქარობენ კინო და ფოტორეპორტიორები. გამცილებლები ემშვიდობებიან მგზავრებს.

— შორი გზა გელით, მშვიდობით გემგზავროთ!

ეს მატარებელი ჩვეულებრივი როდია. იგი სპეციალური მატარებელია, რომელსაც უამრავზე მიპყავს ჩვენი რესპუბლიკის 200 მოწინავე მშენებელი. მათ შორის არიან სამშენებლო საქმის საუკეთესო ოსტატები თბილისიდან და ქუთაისიდან, სოხუმიდან და ბათუმიდან, ცხინვალიდან და ჭიათურიდან, თელავიდან და ზუგდიდიდან....

...მატარებელი განუწყვეტლივ მიისწრაფის წინ. ყველა თავისებურად ერთობა ამ დროის განმავლობაში. აი გამოჩნდა პირველი სოფლები. უკვე ახლოს არის მათი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტი — ქალაქი ჯიტეგარა. ეს ქალაქი კუსტანაის ოლქში შედის და თვით კუსტანაის სამხრეთით მდებარეობს.

გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქართველ მშენებლებს კუსტანაის ოლქის სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ, მოხუცებულ ახალგაზრდობამ.

ჯიტეგარა უაზახეთის განთქმული ტურგაის მთიანეთის ზონაში მდებარეობს. შვიდ თვეს დაჰყოფენ აქ ქართველი მშენებლები, აშენებენ ორ ელევატორს, მეცხოველეობის რამდენიმე სადგომს...

თანამედროვე ელევატორი რთული და უდიდესი სიმაღლის ნაგებობაა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ავტომატიკით. მისი აგებისა და მონტაჟის დროს იყენებენ განსაკუთრებულ კონსტრუქციებსა და მექანიზმებს. ამ მშენებლობისათვის თავის გართმევა შეუძლიათ მხოლოდ გამოცდილ სპეციალისტებსა და მუშებს, რომლებმაც იციან ამ სამუშაოს სპეციფიკა.

რთული დავალების შესრულება უხდებათ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს, მაგრამ ისინი კარგად ართმევენ თავს საქმეს. მათს რიცხვს ეკუთვნის რობერტ კალმახელიძე, პროფესიით მებეტონე, მთავართბილმშენის მე-7 სამშენებლო სამმართველოდან. იგი პირველად არის ყამირზე.

ახალგაზრდა მშენებელი სათავეში უდგას კომკავშირულ ბრიგადას. ბრიგადის წევრები დღეში 32 კუბურ მეტრ ბეტონს ასხამენ, რაც დავალებას დიდად აღემატება.

სასახელოდ შრომობს სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, მლესავთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვიქტორ ხუტაბა. მზიური აფაზეთის დედაქალაქის ბევრ ახალშენებლობებზე უსახელებია მას თავი, აქაც ელევატორმშენებლები პატივისცემით წარმოთქვამენ მის სახელს.

რუსთაველი ინჟინერი ვახტანგ ცხადაძე საწარმოო ფრონტის ნამდვილი მეთაურია. საქმის ცოდნა, ოპერატიულობა, სერიოზული საკითხების გადაწყვეტის დროს სწრაფი ორიენტირება, გულისხმიერება — აი მისი მუშაობის სტილის მთავარი თვისებები.

ნამდვილად ასახელა ტყიბულელი ზახტმშენებლები ბრავინ ჩუბანიძემ, 22 წლის მლესავმა. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია და ჭეშმარიტი ენთუზიაზმით ეკიდება საქმეს.

ძნელია ყველა მათგანის ჩამოთვლა. აქ არიან თბილისელები აბრამ საბაშვილი — ქალაქ თელავსა და თელავის რაიონში კომისიები შეიქმნა მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისში.

ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომი არაშრომითი შემოსავლით აშენებულ ან შეძენილ ნაგებობათა გამოსავლინებელად არ იყენებს დეპუტატებს, ქუჩებისა და სახლების კომიტეტებს და საზოგადოებრიობის სხვა აქტივისტებს. ისინი ეშვიათად იხილავენ აღნიშნული ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობას და არ ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას კომისიების მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ჭიათურაში, ზესტაფონში, დუშეთსა და გურჯაანში ეს კომისიები არსებობენ ფორმალურად. ამის შედეგია, რომ ბრძანებულების მიღებიდან ათი თვის განმავლობაში ამ კომისიებს არ გამოუვლენიათ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი არც ერთი სახლი.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო სასამართლოებს ასეთ საქმეებზე ძირითადად სწორი დადგენილებები გამოაქვთ, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ხასიათის შეცდომები და ნაკლოვანებანი. სასამართლო ორგანოებს არც ერთი საქმის განხილვისას არ დაუდგენია ცალკეულ პირთა დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნები და არ გადაუცია მასალები პროკურატურისათვის გამოსაძიებლად; უმრავლეს შემთხვევაში არ არის გადაწყვეტილი აგრეთვე არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლიდან მოქალაქეების გამოსახლების საკითხი. საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი განხილულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობის მიუღებლად. სახალხო სასამართლოები არ იყენებენ აღზრდის ისეთ ეფექტიან საშუალებას, როგორიცაა გამსჯელი სხდომების მოწყობა საწარმოდაწესებულებებში, სადაც მუშაობს ის პირი, რომელმაც არაშრომითი შემოსავლით ააშენა ან შეიძინა სახლი და ა. შ.

ზოგჯერ სასამართლოები საქმეებს იხილავენ დიდი დაგვიანებით და არ იცავენ კანონით დადგენილ ათი დღის ვადას. მაგალითად, ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოში მოქ. ხოჯანშვილის საქმის განხილვა გაგრძელდა 6 თვეზე მეტ ხანს. ასევე დიდი დაგვიანებით განიხილა ამავე რაიონის სახალხო სასამართლომ მოქალაქეთა იტრიევისა და დანელიას საქმე.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მოსამართლეები ყოველთვის სრულყოფილად და კრიტიკულად არ სწავლობენ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლის ჩამორთმევის შესახებ აღმასკომიდან გაგზავნილ მასალებს, არ ახდენენ ადგილზე დათვალიერებას, რის გამოც მათ მიერ გამოტანილი ზოგიერთი დადგენილება კანონსაწინააღმდეგია.

ზოგჯერ სახალხო სასამართლოს დადგენილება არ არის კონკრეტული, რაც ერთგვარად აძნელებს მის აღსრულებას. მაგალითად, ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოქ. მკრტჩიანი გამოსახლებულ იქნეს სახლის 26 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობიდან მაშინ, როდესაც სახლს ამ ფართობის ცალკე ოთახი არ გააჩნია.

პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებად ახორციელებენ ზედამხედველობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესრულებაზე და სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი დადგენილებების კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

ქართველი მშენებლები ყამირზე

მლესავი, ვლადიმერ დეგუზაშვილი — მებეტონე, ზურაბ ომარაშვილი — ექიმი, ნოდარ ხუბუტია — სამუშაოთა მწარმოებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღზრდილი, გურჯაანელი გივი ჩეკურიშვილი — დურგალი.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ამდიდრებენ და აღორძავებენ ყამირის პირველ დამპყრობთა ტრადიციებს, მათ სასახელო საქმეებზე ლაპარაკობს მთელი რაიონი, ოლქი. მათზე წერენ ადგილობრივი გაზეთები, მათ თავდადებული შრომის შესახებ ცნობებს გადასცემს რადიო.

დაძაბულ შრომაში შეუმჩნევლად გადის დღეები. შენიდებისას მშენებლები თავიანთ ბინებში მიდიან. ეს ბინები კი სპეციალური მაგარებელია. ალიონზე კვლავ ცისკიდურისაკენ აღმართულ შენობას მიაშურებენ... მშენებელთა ხელები ამზადებენ ყალიბს ბეტონის ხსნარისათვის, ამოტაკავებენ შენობის სახურავს და ვინ მოთვლის კიდევ რას აკეთებენ... ათასი საზრუნავი აქვთ მშენებლებს.

ელევატორმშენებლობა სამშენებლო საქმის ერთ-ერთი ურთულესი დარგია. თანამედროვე ელევატორი საშუალებას იძლევა მექანიზებულ და ავტომატიზებულ იქნას პურის მიღება, გასუფთავება, გაშრობა და შენახვა.

კუსტანაის ოლქი საუკეთესო მიწებით არის განთქმული. აქ ძირითადად შავნიადაგიანი ზონაა. ასმაგად ნაზღაურდება ადამიანის შრომა. ყოველწლიურად იზრდება მარცვლეულის მოსავალი. თვალუწვდენელ სივრცეებზეა გადაჭიმული პურის ყანები. ათასობით კომბაინი მუშაობს მოსავლის ასალებად. ბელლები ვერ იტევს მოსავალს.

აქ, ყამირზე, აშენდა ათობით ელევატორი და პურის შესანახი საწყობი. მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი. ეს კარგად იციან მშენებლებმა. ახალმა ელევატორმა უკვე წელს უნდა მიიღოს მარცვლეული. ამტომ არის, რომ ასე ჩქარობენ მშენებლობის ყველა უბანზე.

ელევატორი, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშენებლები აგებენ, ერთ-ერთი გრანდიოზული ნაგებობა იქნება მთელ საბჭოთა კავშირში... უზარმაზარ ფერხობზე მოძრაობენ ამწეთა აჟურული ისრები, ისმის საშენი მასალებით დატვირთული ავტომანქანების ხმაური, მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები...

მშენებლობა ზუსტად შედგენილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. მშენებლები არ კარგავენ არც ერთ დღეს, არც ერთ საათს, არც ერთ წუთს. მათი გადაწყვეტილებაა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მექანიზაციის გონივრულად გამოყენებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გადაჭარბებით შეასრულონ ყოველდღიური დავალებები...

შესვენებაა. ისვენებენ მშენებლები... ზოგი კითხულობს, ზოგიც ჭადრაკს თამაშობს. გივი ჩეკურიშვილი კი გიტარაზე ამღერებს ქართულ მელოდიებს, მოაქვთ ახალი ფოსტა... ყოველთვის სასიამოვნოა ძვირფასა ადამიანის წერილი, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა შორეულ ყაზახეთში ამბები საქართველოდან — იწერებიან მეუღლეები, შვილები, ნაცნობ-მეგობრები...

აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ... ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა გადაგვეცა მათი მშობლებისათვის, ნათესავებისათვის, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის, მათ განაცხადეს: გადაეცით რესპუბლიკის მშრომელებს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ჩვენი გულითადი სალამი. თავს ჩინებულად ვგრძნობთ, სამუშაო განწყობილება შესანიშნავია, ხალხები კარგად მიდის, ვეცდებით არ შევარცხვინოთ თავი და არ შევარცხვინოთ ჩვენი მშობლიური მხარე.

მალე დავამთავრებთ ელევატორის მშენებლობას და შევუდგებით მეორე ელევატორის აგებას. გარდა ამისა ავაგებთ მეცხოველეობის სადგომებს. მტაცეცი მეგობრობა გვაკავშირებს ელევატორმშენის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივთან, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას. ჯიტეგარა კუსტანაის ოლქის ერთ-ერთი მოწინავე რაიონია. იგი მდინარე შურტანდზე მდებარეობს. არცთუ დიდი ხნის წინათ უკიდრიელ ადგილზე აშენდა კეთილმოწყობილი დაბები და სოფლები, სადაც არის ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, კულტურისა და დასვენების პარკები, სტადიონები.

კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება ჯიტეგარა უახლოეს წლებში. მოხარული ვართ, რომ ამ საქმეში ჩვენი მცირედი წვლილიც იქნება.

ქართველ მშენებელთა კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ვადამდე შეასრულოს მთელი სამუშაოები, ზუსტად გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოს გიგანტური ელევატორების ამუშავება.

გრიგოლ ჩიგოგიძე.
ქ. ჯიტეგარა.

სკოლა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ზრუნვა

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო წელი დამთავრდა და აუდიტორიებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში იშვიათად თუ ვინმეს შეხვდებით. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს — ყველას სურდა მონაწილეობა მიეღო ინსტიტუტისათვის გარდამავალი დროშის გადაცემის ცერემონიალში.

ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარემ პროფესორმა ნ. ჩხენკელმა სიტყვა მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ჭახრაკიას.

ამხ. ნ. ჭახრაკიამ დამსწრეთ მოახსენა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეაჯამეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გადაწყვიტეს, რომ სწავლაში, შრომასა და აღმზრდელობითს მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის დაწესებული გარდამავალი დროშა გადაეცეს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ი. სარიშვილი, პროფ. ნ. ლაჩაკიანი და სტუდენტი კ. ბუაჩიძე. მათ ინსტიტუტის კოლექტივის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და საბჭოთა მთავრობას დიდი მზრუნველობისათვის და აღუთქვეს, რომ ინსტიტუტი კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებს პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისა და ღირსეული კადრების აღზრდისათვის.

ვ. ქასრაძე,
მრავალტირაჟიანი გაზეთის „საბჭოთა აგრონომის“ რედაქტორი.

მოსწავლეები აგებენ სკოლას

სკოლებში სიწყნარეა. დადგა საზაფხულო არდადეგები. მოსწავლეები დროებით გამოეშვიდობნენ საყვარელ აღმზრდელებს, საკლასო ოთახებსა და მერხებს.

მაგრამ განა ყველანი? სრულიადაც არა. ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს სკოლის სამშენებლო მოედანზე კვლავ პაიონერთა მხიარული ყივილხივილია. გამოცდილ მშენებლებთან ერთად ისინი აკეთებენ მონაწილეობას ბეტონის ამზადებაში, ერთად ისინი ატარებენ ურიკებს, ერთად ისინი ალაგებენ ბეტონს ყალიბებში. ეს მით უფრო საჭირო, რომ აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ განთავისუფლებულან მავნე კაპიტალისტური გადმონაშთებისაგან და პირად ინტერესს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ.

შრომა ყველა სიკეთის წყაროა. ამიტომ ადამიანებში შრომითი ჩვევების დანერგვა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის ქვაკუთხედია და, მაშასადამე, საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მთავარი საზრუნავიც არის.

ვ. მირიანაშვილი,
საქართველოს კპ გარდაბნის საწარმოო სამმართველოს კომიტეტის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ROგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ბ. ე. ბერძენიშვილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ს. ი. ქაჯაიას მოხსენებები და შედეგები შემოწმებისა, რომელიც პრეზიდიუმმა მოაწყო და როშელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის წევრებმა ბ. დ. ღღენტმა, შ. ა. ფირცხალავამ, ს. ა. შარაძენიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ნ. ნ. აბჟანიძემ, თ. თ. მაისურაძემ, ე. ნ. მარტაშვილმა, დ. ა. მამისაშვილმა, რ. ზ. ჩახვაშვილმა, ი. გ. ქარუმიძემ, ლ. ა. ყანჩაველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასჯელთა აღსრულების შტატგარეშე კონსულტანტებმა ი. ა. ბრაილოვსკიმ, ს. ვ. გეწაძემ, ა. ვ. ზედგინიძემ, გ. ე. თარხნიშვილმა, ლ. ს. ჯომარდიძემ და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მშრომელთა დეპუტატების მთელი რიგი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლეების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების განხორციელებას და მის შესასრულებლად გარკვეულ მუშაობას ეწევიან.

ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, 26 კომისრის რაიონულმა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა დროულად განიხილეს აღნიშნული ბრძანებულება, შექმნეს კომისიები და დასახეს სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი მისი განხორციელებისათვის.

აღნიშნული კომისიები როგორც თავისი ინიციატივით, ისე საზოგადოებრიობის დახმარებით ავლენენ არაშრომითი შემოსავლით აშენებულ სახლებს, დროულად იხილავენ ასეთი ფაქტების შესახებ შემოსულ მასალებს, განცხადებებსა და სიგნალებს და ძირითადად სწორად წყვეტენ ამ საკითხებს.

ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომმა სახალხო სასამართლოს გადასცა 23 საქმე არაშრომითი შემოსავლით აშენებული სახლის შესახებ, ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომმა — 11, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა — 9, ხოლო თბილისის 26 კომისრის რაიონში შემოწმებული მასალებიდან 7 გადაეცა რაიონის სახალხო სასამართლოს, 2 კი — პროკურატურას.

ამასთან ერთად ამ ბრძანებულების შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში (ზუგდიდი, მახარაძე, სამტრედია, გორი, ხაშური, ფოთი, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის რაიონებში). არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების გამოსავლინებლად მუშაობას ამ ქალაქებსა და რაიონებში დიდი დაგვიანებით შეუდგნენ.

ზოგიერთი აღმასკომი ჯერ კიდევ ნაკლებად ახორციელებენ ზედამხედველობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესრულებაზე და სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი დადგენილებების კანონიერებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გადამწყვეტი ზომები მიიღონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესასრულებლად: მათ წინადადება მიეცათ არაშრომითი შემოსავლით აშენებულ ან შეძენილ ნაგებობათა გამოვლინების საქმეში ფართოდ ჩაბა

პოეგიით გამთბარი სპექტაკლი

ა. ბადალბეილის ბალეტი „ქალწულის კოშკი“ ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმა

ლეგენდა, რომელმაც კომპოზიტორ აფრასიან ბადალბეილის შთაგონება დაეწყრა პირველი ეროვნული აზერბაიჯანული ბალეტი, პოეტურია... ოდესღაც. ძველ დროში, მრისხანე მეფეს შეუყვარდა თავისი საკუთარი ქალიშვილი და ბედნიერება დაურღვია იმით, რომ დააშორა საბანტელი საქმროს... პირქუშ კოშკის კედლებს ეხეთქება კასპიის ტყვიისფერი ტალღები, მშვენიერი გულიანაკი რომ შთანთქეს, რომელმაც სიკვდილი არჩია მიჯნურთან დაშორებით სიცოცხლეს, აღარ არის მრისხანე ჯანგირ-ხანი, ორი ლამაზი ახალგაზრდა არსების დამღუპველი. მაგრამ ნაღვლიანი გრძნობა არ ტოვებს მაყურებელს ფარდის დაშვების შემდეგაც.

დიდი და სიცოცხლის დამამკვიდრებელია ძალა სიყვარულისა, ნათელი და ყოვლისმძლე სიყვარულისა კაცობრიობის ისტორიის ყველა დროში. მან წარუშლელი კვალი დატოვა ხალხურ შემოქმედებაში, მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებებში. ასეთი იყო სიყვარული დანტეს გმირებისა, ასე უყვარდათ ერთმანეთი ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ გმირებს ვირაშსა და ტისბას, რომლებიც შექსირის რომეოსა და ჯულიეტას პროტოტიპები გახდნენ.

ბალეტ „ქალწულის კოშკს“ საფუძვლად უდევს აზერბაიჯანული ხალხური ეპოსის შემკრებლობითი სახეების ფოლადისა და გიულიანაკის სიყვარული.

ამ ბალეტის შექმნა განუყრელად დაკავშირებულია ლიბრეტოს ავტორის, კომპოზიტორისს, სპექტაკლის დირიჟორის აფრასიან ბადალბეილისა და პირველი აზერბაიჯანელი ბალერინას სსრ კავშირის სახალხო არტისტის გამერ ალმასზადეს სახელებთან. ბადალბეილის მუსიკის სასიამოვნო ჟღერა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რომ მუღამების მღერადობა და სილაღე ორგანულად არის შერწყმული ხალხური სასიმღერო და საინსტრუმენტო ხელოვნების თავისებურებათა მთელ სიმშვენიერესთან. აქ არ არის მომბეზრებელი გამეორება ფოლკლორული „ცატატებისა“, მუსიკის ერთ-ერთი დიდი აღიარება ის არის, რომ იგი „საცეკვაოა“.

ამ სპექტაკლში გამერ ალმასზადეს ვხედებით როგორც მის დამდგმელს. თავისი ეროვნული ცეკვების შესანიშნავ შემსრულებელს, ლენინგრადის საბალეტო სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილს, მას თითქმის ყველაფერში მოუნახავს ხალხური აზერბაიჯანული ქორეოგრაფიის ელემენტებისა და კლასიკური ცეკვის მოძრაობათა შერწყმის დამაჯერებელი „დოზირება“. ალმასზადეს მუშაობაში განსაკუთრებით მიმზიდველია იმისადმი მისწრაფება, რომ ყველა „ქმედითი“ მომენტი გადმოსცეს ცეკვის საშუალებით, იქაც კი, სადაც თითქოს შეუძლებელია, რომ პანტომიმას არ მიმართოს. ამიტომ ბალეტში თითქმის არ არის ყურადღების გამფანტველი გაჭიანურებული ადგილები და არ ნელდება მაყურებლის ინტერესი. დადგმაში არის მნიშვნელოვანი, დრამატულად გამსჭვალული, ნამდვილად დასამახსოვრებელი შტრიხები. ამასთან დაკავშირებით გვინდა პირველ აქტში აღვნიშნოთ საქმროს დაშორებული გიულიანაკი, სასოწარკვეთილი ტახტრევანზე რომ ეცემა გადატეხილი ყვავილივით, აიპერის სამაჯურის სცენა ვ. რიჟოვას გამომეტყველი შესრულებით უკანასკნელ აქტში და, რა თქმა უნდა, სპექტაკლის აპოთეოზი — გიულიანაკის დაღუპვა, რაც გაკეთებულია დიდი ტაქტითა და თავდაჭერილობით, რის გამო ძლიერდება მოქმედების ემოციური დაძაბულობა.

მშობლიური საცეკვაო ფოლკლორის დიდი მცოდნე ალმასზადე უხვად იშველიებს მის სიმდიდრეებს მთელ პირველ აქტში. ბრწყინვალეა შესრულება ტემპერამენტიანი ცეკვის „შალახოსი“ (სოლისტები რ. ალიევი, ა. აკოფოვი, ტ. მამედოვი), რომელშიც შეხამებულია მამაცობა და სიკისკასე და მოძრაობათა რაღაც მეფური მკაფიო რიტმით სრულდება ცეკვა „რენგი“ (სოლისტი ხ. ზულფუგაროვა) და ცეკვებით გამოხატული ყველა საქორწინო ზეს-ჩვეულება. ცოტა როდია ლამაზი ცეკვები უკანასკნელ აქტშიც, სადაც თავიანთი სინატვიფით გამოირჩევიან ირანელი სტუმარი ქალები. სასურველია, რომ უფრო დამახასიათებელი იყოს მოძრაობანი სხვა ეროვნებათა სტუმრების ცეკვებში.

თუმცა ძალიან ეფექტურია, მაგრამ გაჭიანურებულად გვეჩვენება ტრადიციული საბალეტო „ძილის“ აქტი, რომელშიც ფრიად შეთანხმებულად ცეკვავს კორდებალეტი. ამ აქტში ბეგრია ზღაპრული მომენტი, რომელთა შექმნაში გარკვეული დამსახურება მიუძღვის მხატვარ ე. ალმასზადეს, რომელიც თავისი სანხეტერესო გაფორმებით ხელს უწყობს სპექტაკლის მთლიანობას. მეხსიერებაში რჩება „ჯურიების“ ფერხული „მუტრიბი“ ქალიშვილების აკომპანემენტით, რომლებიც ჩანგს, ქამანჩასა და დაირას უკრავენ.

ეს მომენტი, რომელიღაც ირანულ მინიატიურას რომ გვაგონებს, უეჭველად ხელს შეუწყობდა ამ აქტის სტილის ერთიანობას, მაგრამ იგი ერთბაშად წყდება თავის შემდგომ საცეკვაო განვითარებაში, ამიტომ რამდენადმე უცხოდ გაისმა საერო ფონზე გმირების „უბრალოდ“ ცეკვა-სიკეთი ვარიაციები, მოკლებულნი ხალხური ორნამენტირების კოლორიტს, რომლებსაც დაერთო „რეალური“ თავის დაკვრა მაყურებელთა ტაშის პასუხად შუა მოქმედებაში. სპექტაკლის მონაწილეთა ასეთი გაუმართლებელი კონტაქტი მაყურებელთა დარბაზთან ამ შემთხვევაში ხელს უშლიდა ზღაპრულ-ფეერიული აღქმის მთლიანობას.

ყოველი სცენური ნაწარმოების წარმატება ამა თუ იმ ზომით დამოკიდებულია მისი შესრულების მხატვრულობასა და ნიჭიერებაზე და ამიტომ გვინდა პირველ რიგში აღვნიშნოთ აზერბაიჯანული თეატრის გამოჩენილი ბალერინა, გიულიანაკის როლის შემსრულებელი ლეილა ვექილოვა (აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი). დიდი ტექნიკის მქონე ვექილოვა ადვილად ძლევს ყველა სიძნელეს ცეკვაში და თავისი ემოციურობით აიძულებს მაყურებელი შეუნელებელი ყურადღებით ადევნოს თვალი მისი გმირის ბედს. განსაკუთრებით კარგი და მომხიბვლელია ვექილოვა პირველი აქტის საქორწინო ცეკვაში, რომლის შტრიხებს იგი თითქოს გრძნობამიხდილი და ძილ-ღვიძილში მყოფი იმეორებს თავისი სიკვდილის წინ კოშკის წვერზე. ფოლადი — მ. მამედოვი ახალგაზრდაა, გულწრფელია, ფიცხია, გარეგნულად მიმზიდველია, მის გრაფიკულად ლამაზ ცეკვაში იგრძნობა კარგი სკოლა.

მეტად პომპეზური ჯანგირ-ხანი კ. ბაბტამოვის (აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი) შესრულებით. მისი პოზები სკულპტურულია, მის მოძრაობაში იგრძნობა დიდი ძალა. დამაჯერებელი დინამიკურობა. სახის გამოკვეთილობის გასაძლიერებლად შესაძლოა ზედმეტი არ იქნებოდა ერთგვარი სხვადასხვაფერობა სცენაზე მისი ქცევის ნიუანსებში.

კიდევ რა შეიძლება ითქვას ქორეოგრაფიის აზერბაიჯანელი ოსტატების ამ ნათელ სპექტაკლზე? იქნებ მხოლოდ ის, რომ მასში მოცემულია ის ჰარმონიული ერთიანობა, ფორმა, ის ოდა-ცა ვერ იქნება ხელოვნების ნამდვილი, შეშმარიტად ხალხური და დიდხანს უმკნობი ნაწარმოები.

ჩვენ მხურვალედ ვუკრავთ ტაშს მთელ მაღალკვალიფიციურ კოლექტივს მის მონაწილეებთან და შემქმნელებთან ერთად განსაკუთრებით გულთბილი, ამაღელვებელი და შთამბეჭდავი სპექტაკლისათვის, რომელსაც თავისი არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე არ დაუკარგავ არც თავისი მშვენიერება, არც პოეტურობა.

ლილი გვარამაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ლ. ვექილოვა (გიულიანაკი) და აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი მ. მამედოვი (ფოლადი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრება

მსოფლიო პოლიტიკური მოვლენა

დასავლეთ ბერლინი, 8 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის გაზეთი „დი ვარჰაიტი“ მხურვალედ იწონებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრული ვიზიტის შედეგებს. გაზეთი აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს, რომლებიც ბერლინის მიტინგზე წამოაყენა იმის შესახებ, რომ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდები და დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს შორის, და წერს: „მარტო ამ ერთმა ახალმა საბშვიდობო ინიციატივამ ხრუშჩოვის ვიზიტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში მიანიჭა მსოფლიო პოლიტიკური მოვლენის მნიშვნელობა“.

„დი ვარჰაიტი“ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ ბერლინის მიტინგზე მთელ მსოფლიოს უჩვენა „საბჭოთა კავშირის ურყევი გადაწყვეტილება შეანელოს დაძაბულობა და უზრუნველყოს მშვიდობიანი თანაარსებობა“.

ფიდელ კასტრო. ვიშრომოთ კუბის პროგრესისათვის

ჰავანა, 8 ივლისი. (საკდესი). კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის პირველმა მდივანმა და პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ დაამთავრა მოგზაურობა ორიენტეს პროვინციაში. იგი იყო სანტიაგო-დე-კუბის ქარხანა „ბაკარდიში“, სადაც მზადდება საქვეყნოდ განთქმული რომი, ეწვია ტურიგუანოს რაიონს — სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ტურიზმის დიდმნიშვნელოვან ცენტრს.

სანტიაგო-დე-კუბის თბოელექტროსადგურ „რენტეს“ დათვალიერების დროს ფიდელ კასტრომ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ძირითადი ყურადღება დაუთმო შრომის დისციპლინის ამაღლების საკითხებს. ახლა, თქვა მან, მეტი უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე რევოლუციამდე ვმუშაობდით, რადგან ჩვენთვის ვშრომობთ, ყველაფერი, რასაც ვაწარმოებთ, ხმარდება ახალ ქარხნებს, ახალ სახლებს, საავადმყოფოებს, გზებს. და ყველამ კარგად უნდა მოაწყოს მუშაობა თავის უბანზე, მაქსიმალური ღონისძიება იხმაროს და მაქსიმალურად შესაძლებელი შედეგი მიიღოს.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ საჭიროა მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია და მუშათა მომარაგების გაუმჯობესება მშენებლობებზე.

კუბის პროგრესისათვის, მაღალი საარსებო დონის მიღწევისათვის ერთადერთი გზაა, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ახალი ქარხნების, ახალი გზების, ჰიდრონაგებობების მშენებლობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

პორგუგალიის კიდევ ერთი მარცხი

ჟენევა, 6 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი **გ. დრაგუნოვი** გვატყობინებს: განათლების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილება შესრულდა: პორტუგალიის დელეგაციამ, როგორც იქნა, დატოვა სხდომათა დარბაზი და ამრიგად კონფერენციამ შეძლო თავისი ნორმალური მუშაობის განახლება.

როგორც ცნობილია, 4 ივლისს აფრიკის ქვეყნების დელეგაციების მოთხოვნით პორტუგალიის წარმომადგენელი, რომლის ხელისუფალნი სასტიკი კოლონიური ტერორის პოლიტიკას ახორციელებენ ანგოლაში, გარიცხეს კონფერენციის მონაწილეთა რიცხვიდან და პირდაპირ გამოუცხადეს, რომ დეტოგეებისთან დარბაზი. მაგრამ პორტუგალიის დელეგატებმა. ლისაბონიდან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, არაფრად ჩაგდეს ეს გადაწყვეტილება და, თითქოს არაფერი მომხდარაო, კვლავ რჩებოდნენ თავიანთ ადგილებზე. მაშინ აფრიკის ყველა ქვეყნის დელეგაციებმა თვითონ დატოვეს დარბაზი და განაცხადეს, რომ მხოლოდ მაშინ დაბრუნდებიან, როცა კონფერენციის გადაწყვეტილება შესრულდება, ამრიგად, კონფერენცია პორტუგალიის დელეგაციის მოქმედების გამო ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა...

როგორც კონფერენციის კულუარებში, ცნობილი გახდა, დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა მაინც დაარწმუნეს პორტუგალიის დელეგაცია აეკრა გუდა-ნაბადი. ასეთი რჩევა იმ დელეგაციების მხრივ, რომლებიც უკანასკნელ წუთამდე წინააღმდეგობას უწევდნენ წინადადებას კონფერენციიდან პორტუგალიის დელეგატების გაძევების შესახებ (ეს ქომაგები იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, ბელგია და სხვები), გამოწვეულია, როგორც ჩანს, იმის სურვილით, რომ საქმე არ მივიდეს „ბარა სკანდალამდე, რომელიც თვით „ქომაგთა“ პრესტიჟსაც შელახავდა...

ასე იყო თუ ისე, იმ ფირფიტის ქვეშ, რომელსაც აწერია „პორტუგალია“, ალაბავენ არა ზის, დღეს კი თვით ეს ფირფიტაც ჩამოხსნეს. აფრიკის ქვეყნების დელეგატები, კვლავ შეუერთდნენ კონფერენციის მონაწილეებს და ყველაფერი თავის რიგზე წავიდა. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და პედაგოგები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები (განათლების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციაში კი მსოფლიოს თითქმის 90 ქვეყნის რამდენიმე ასეული დელეგატი მონაწილეობს) აზრებს უზიარებენ ერთმანეთს ზოგადი და სპეციალური განათლებისა და ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მუშაობს რამდენიმე კომისია.

რაც შეეხება კოლონიალისტურ პორტუგალიას, წერს შვეიცარიის გაზეთი „სიუისი“, ის დარტყმები, რომელსაც იგი ახლა განიცდის, მხოლოდ დასაწყისია: ლონუნგი „აფრიკა აფრიკელებისათვის!“ დღითი დღე სულ უფრო მძლავრად გაისმის...

აგსოლუტური უმრავლესობით

პარიზი, 8 ივლისი, (საკდესი). ქალაქ ოდიერნის (ფინისტერის დეპარტამენტი) მუნიციპალური საბჭოს დამატებით არჩევნებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო ორმა კომუნისტმა კანდიდატმა. ეს არის ოდიერნის კომუნისტთა პირველი დიდი გამარჯვება, წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე“.

ამერიკელი ელჩი-პერსონა ნონ გრატა

პარიზი, 8 ივლისი. (საკდესი). ფრანსს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში მიღებულ ცნობებს და ვაშინგტონიდან იუწყება, რომ ჰაიტის მთავრობამ უარი თქვა ნება დართოს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჰაიტიში რეიმონდ ტერსტონს დაბრუნდეს ჰაიტიში.

რეიმონდ ტერსტონი ივნისის შუა რიცხვებში გამოიძახეს ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტთან „კონსულტაციისათვის“ მას შემდეგ, რაც ჰაიტის პრეზიდენტმა ფრანსუა დიუვალიემ მოითხოვა მისი გაწვევა.

ჰაიტის პრეზიდენტ სდებდა ამერიკელ ელჩს ჩარევას ჰაიტის სამინაო საქმეებში.

ფრაგიკულად დაილუპა რენე ლეკომბი

პარიზი, 8 ივლისი. (საკდესი). აზორის კუნძულების რაიონში შტორმის დროს დაიღუპა ფრანგი ზღვაოსანი რენე ლეკომბი, რომელიც ცდილობდა მარტო გადაეცურა ატლანტის ოკეანე. რენე ლეკომბი დაიღუპა თავისი მოგზაურობის 68-ე დღეს.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ლონდონი, 8 ივლისი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო დღეს იუწყება, რომ ინგლისის სპეციალური წარმომადგენელი სამი სახელმწიფოს მოსკოვის თათბირზე, რომელიც ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხს განიხილავს, ლორდი ჰეილშემი 14 ივლისს მიფრინავს მოსკოვში. ჰეილშემს ახლავან თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი მუშაკი და სხვა ოფიციალური პირნი.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აგრეთვე განაცხადა, რომ 11 ივლისს ლონდონს ჩამოდის ამერიკის წარმომადგენელი ამ თათბირზე ჰარიმანი, რომელიც შეხვდება ლორდ ჰეილშემს.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ჩეხოსლოვაკიის 30 ქალაქში ლოზუნგი „ეინოხელოვნება ცხოვრების სილამაზისათვის, კომუნიზმისათვის“ მოეწყო კინოფესტივალი. ნაჩვენები იყო 13 მხატვრული და 10 მოკლემეტრაჟიანი ჩეხოსლოვაკური და საზღვარგარეთული ფილმი.

□ იაპონიის ქალაქ ვაკანაში ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო პალატის სხდომაზე შეიქმნა კოოპერატივი. იგი მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. კოოპერატივის გეგმა ითვალისწინებს განვითარდეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ვაჭრობა ხე-ტყით, ზღვის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით.

□ 7 ივლისს ინგლისელმა დემოკრატებმა ხელი შეუშალეს ფაშისტური მიტინგის მოწყობას ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ფაშისტები გეგმავდნენ თავიანთი თავყრილობის მოწვევას. ფაშისტები, რომლებიც ასზე ცოტა ნაკლები შეგროდნენ, იძულებული გახდნენ შეკრებილიყვნენ სხვა ადგილას სამასამდე ქვეითი და ცხენოსანი პოლიციელის დაცვით

□ გასული წლის დამლევიდან ბრაზილიაში ერთიორად და მეტად გადიდდა ქვების ზოგიერთი პროდუქტის ფასები. კილოგრამი ერბო-კარაქის ფასებმა 180 კრუზეიროდან 380 კრუზეიროამდე მოიმატა, შაქრის ფასებმა კი 51-დან 103 კრუზეიროამდე და სხვა. ბრაზილიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ქვების პროდუქტების ფასების ზრდა ბრაზილიის ეკონომიურ და ფინანსურ სიძნელეთა შედეგია.

□ იაპონიაში დიდი მოთხოვნაა საბჭოთა საფოსტო მარკაზე, რომელიც ეძღვნება კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-5“ და „აღმოსავლეთი-6“ ფრენას და რომლებზეც გამოსახულია მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა. ტერეშკოვა და პოდპოლკოვნიკი ვალერი ბიკოვსკი. იაპონელმა ფილატელისტებმა გაყიდვის პირველსავე დღეს დაიტაცეს ეს მარკები. ტოკიოში მარკები გაიყიდა 30 წუთში.

□ 527 კაცი დაიღუპა უკანასკნელ ოთხ დღეში საავტომობილო კატასტროფის შედეგად შეერთებული შტატების გზებზე.

□ 5 კაცი დაიღუპა და 36 კაცი დაშავდა საავტომობილო კატასტროფის შედეგად დასავლეთ გერმანიის ქალაქ რუტლინგენში. ავტობუსი, რომელიც ინგლისელი და დანიელი ტურისტები მოგიოდნენ დაეჯახა მეორე ავტომანქანას. ბევრი დაშავდა. (საკდესი).

8 ივლისს ინგლისის ... არჩევნები ზანზიბარში

8 ივლისს ინგლისის თვითმმართველ პროტექტორატში — ზანზიბარში, რომელიც აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროს მანძილზე კუნძულებზე მდებარეობს, საყოველთაო არჩევნებია. არჩევნების მიზანია პარლამენტის არჩევა და ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც ინგლისის მთავრობასთან შეათანხმებს ზანზიბარისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თარიღს.

ინგლისის ხელისუფლებამ არჩევნების წინ კენიიდან ზანზიბარში გადაიყვანეს ინგლისის კოლონიური ჯარები, ეს ღონისძიება განახორციელეს „წესრიგის დაცვის“ სახებით.

ზანზიბარი (ცნობა)

ზანზიბარის სასულთნო მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში, აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ზანზიბარის, პემბის, მაფიისა და მთელ რიგ სხვა პატარა კუნძულებზე.

ამ ქვეყნის ფართობი 2,6 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 310 ათასი კაცი (ძირითადად ბანტუს ტომის აფრიკელები, აგრეთვე არაბები, ინდოელები და ევროპელები). მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მუსულმანია.

ფორმალურად ზანზიბარის მეთაურად ითვლება სულთანი, მაგრამ ფაქტიურად მთელი ხელისუფლება ინგლისის რეზიდენტის ხელშია. 1890 წლიდან ზანზიბარის სასულთნო ინგლისის პროტექტორატია.

ზანზიბარი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მთავარი კულტურაა მიხაკის ხე (მიხაკის მსოფლიო წარმოების 80 პროცენტი). სხვა საექსპორტო საქონელთა შორის არის კობრი, ბრინჯი, ციტრუსები, ბანანი, თამბაქო და პილპილი. მოსახლეობის ერთი ნაწილი მეთევზეობასა და მეცხოველეობას ეწევა.

აქაური მრეწველობა შედგება პატარა საწარმოებისაგან, რომელიც აწარმოებენ მიხაკისა და ქოქოსის ზეთს, ხილის წვენს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ აიძულა ინგლისი შეეცვალა ზანზიბარის სტატუსი. 1963 წლის 24 ივნისს ზანზიბარს მიენიჭა შინაგანი თვითმმართველობა. ზანზიბარისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თარიღი უნდა შეათანხმონ ინგლისის მთავრობამ და ზანზიბარის ახალმა მთავრობამ, რომელიც შეიქმნება ახლანდელი არჩევნების შედეგად. (საკდესი).

საავიაციო კატასტროფა თურქეთში

სტამბოლი, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ იუწყება, დიარბაქირში აეროდრომიდან აფრენის დროს გუშინ აფეთქდა სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავი „F-84“ ფეთქებების დრომ თვითმფრინავი ორ ნაწილად დაიშალა, ერთი ნაწილი ასაფრენ ბილიკზე დაეცა, მეორე კი — სამ კილომეტრზე, აფეთქების ადგილიდან.

თვითმფრინავი გავშვთა ბანაკს დაეცა

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საკდესი). გუშინ, ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ უილოუ-გროვის რაიონში ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. ქალაქის მახლობლად გაანგაბებულ ბავშვთა სანაფხულო ბანაკს, მაშინ, როცა იქ ბავშვები და კვირა დღესასწაულთან დაკავშირებით მათს სანახავად ჩამოსული შმობლები იყვნენ, დაეცა რეაქტიული თვითმფრინავი, რომელიც საწვთვნელ ფრენას აწარმოებდა. წინასწარი მონაცემებით მოკლულია 7 კაცი, მათ შორის ოთხი ბავშვი, დაახლოებით ოცი — დაშავდა. პილოტმა, როგორც კი შენიშნა ეუწესივრობა მართვის ელექტროსისტემაში, გამოიყენა კატაპულტირების მოწყობილობა და უფრთხილად გადარჩა.

ამ რაიონში ეს უკვე მეორე საავიაციო კატასტროფაა, რომელსაც მოჰყვა სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლი. ამ ორი წლის წინათ უილოუ-გროვის ბაზის რეაქტიული ავიაგამანადგურებელი მაღაზიას დაეჯახა და ამის შედეგად დაიხოცა და დაშავდა ათობით ადამიანი.

ლიდერთა რიცხვი შემცირდა

ლოს-ანჯელოსის საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირის მესამე ტურში წარმატებით იბრძოდა მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი ამერიკელ პ. ბენკოს წინააღმდეგ და აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო. არგენტინელ მ. ნაიდორფისა და იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონის ს. გლიგორიჩის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ორი პარტია გადაიდო. პ. კერესს დაახლოებით თანაბარი პოზიცია აქვს ო. პანოსთან, ფ. ოლაფსონი ინარჩუნებს ძლიერ იერიშს რეშევსკის მეფის ფლანგზე.

სამი ტურის შემდეგ ლიდერთა რიცხვი შემცირდა. სატურნირო ცხრილის სათავეში არიან ს. გლიგორიჩი და მ. ნაიდორფი, რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ.

მეოთხე ტური შედგება 9 ივლისს. გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა 10 ივლისს.

იტალია

მსხვილი კაპიტალისა და იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მოთხოვნებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ლეონეს მთავრობის დახმარებით შეწყვიტონ მშრომელთა საგაფიცო მოძრაობა, მთელი იტალიის გლეხები უპასუხებენ: „არავითარ სოციალურ დაზავებას ჩვენგან არ მიიღებთ“.

იმ დროს, როცა ყველგან გრძელდება სამშენებლო საფეიქრო, საკონდიტრო და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების მუშების საგაფიცო ბრძოლა, 5 ივლისს კვლავ გამოაცხადეს გაფიცვა — ამჯერად ოთხი დღით — იტალიაში უდიდესი ქიმიური მონოპოლიის „მონტეკატინის“ ყველა საწარმოს მშრომელებმა. გაფიცა ავრეთვე რომის კომუნალური დაწესებულებების 20 ათასი მუშაკი.

საბერძნეთი

საფეიქრო ნაწარმოის „იფანტების“ 1.200-მა მუშამ მოაწყო 16 დღის გაფიცვა სალონიკოში, რომელიც წარმატებით დამთავრდა. ფაბრიკის მეპატრონე იძულებული იყო დეიმაყოფილებინა გაფიცულთა მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ.

ჩილი

ჩილის უმსხვილესი სპილენძის მადნის „ელ ტენიენტეს“ 7.500-მა მუშამ გამოაცხადა გაფიცვა. ისინი ამერიკული მონოპოლიის „კენეკოტ კოპერ კორპორეიშნს“ ფილიალის „ბრიდენ კოპერ მაინინგ კომპანის“ კომპანიისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებას. (საკდესი).

ავსტრალია

ივლისის დასაწყისი აღინიშნა ავსტრალიის კონტინენტის მშრომელთა საგაფიცო ბრძოლის აღმავლობით.

მთელ რიგ ქალაქებში ამ დღეებში მოეწყო გაფიცვები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. მელბურნში 24 საათის გაფიცვა მოაწყო იმ საწარმოთა 3,5 ათასამდე მუშამ, რომლებიც უშვებენ რეზინის ნაწარმს. გაფიცვის მონაწილეები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, სამუშაო კვირის შემცირებას. ერთი დღის გაფიცვა მოაწყო და ხელფასის მომატებას მოითხოვს სიდნეის რძის მრეწველობის ათასობით მუშა და მურარის სასაკლაოს 500 მუშა. ჩრდილოეთ კვინსლენდში მოეწყო რკინიგზელთა გაფიცვა, რომლებიც მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას.

საბერძნეთი

საფეიქრო ნაწარმოის „იფანტების“ 1.200-მა მუშამ მოაწყო 16 დღის გაფიცვა სალონიკოში, რომელიც წარმატებით დამთავრდა. ფაბრიკის მეპატრონე იძულებული იყო დეიმაყოფილებინა გაფიცულთა მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ.

ჩილი

ჩილის უმსხვილესი სპილენძის მადნის „ელ ტენიენტეს“ 7,500-მა მუშამ გამოაცხადა გაფიცვა. ისინი ამერიკული მონოპოლიის „კენეკოტ კოპერ კორპორეიშნს“ ფილიალის „ბრიდენ კოპერ მაინინგ კომპანიისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებას. (საკდესი).

... ოლიმპიური ნაკრები ემზადება

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები განაგრძობს მზადებას მომავალი პასუხსაგები შეხვედრებისათვის. გუშინ ეს გუნდი თამამობდა კიევში უკრაინის ნაკრებთან, რომელიც დაკომპლექტებული იყო „ბ“ კლასის ფეხბურთელებით. გიმარჯვეს ოლიმპიელებმა 5:0.

რამდენიმე სტრიქონით

□ **7 ივლისს** მოსკოვში შედგა საერთაშორისო მატჩი წყალბურთში დედაქალაქისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 4:4. გუშინ ამავე გუნდების მატჩში გიმარჯვეს სტუმრებმა 3:2.

□ **გუშინწინ** თბილისში გიმართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება კალათბურთში თბილისისა და ბაქოს „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდებს შორის. გიმარჯვეს თბილისელებმა 58:46.

□ **გასულ** კვირადღეს იუგოსლავიაში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება ჰადრაკში სტუდენტთა გუნდებს შორის. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან — ა. ბაგიროვი (ბაქო), ე. მნაცაკანიანი (ერევანი), გ. ხოდოსი (დონის როსტოვი), ვ. პელეი (ოდესა) და სხვ.

□ **მიუკონლუშში** დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად გამოდან საბჭოთა გროსმაისტერები მ. ტალი და დ. ბრონშტეინი. პირველ ტურში მათ დაამარცხეს იტალიელი პაოლი და უნგრელი ლინდელი.

ერთ მატჩში 20 პენალტი!..

ლენინგრადის სპორტის მოყვარულები გასულ კვირადღეს ფეხბურთში ეუნაური მატჩის მოწმენი იყვნენ. აქ მოეწყო მოსკოვის ნაკრებისა (ცსკა, „ტორპედო“, „დინამო“) და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდების შეხვედრა სპეციალურ ჯილდოზე — თასზე, რომელიც დაწესეს მოსკოვისა და ლენინგრადის ალკა საქალაქო კომიტეტებმა.

მატჩი დამთავრდა ფრედ 3:3. ასეთი შემთხვევაში გამარჯვებულის გამოსავლენებლად დებულებით ყოველ მოთამაშეს 11-მეტრიანი საჯარიმო უნდა დაერტყა მეტოქის კარში, ე. ი. დანიშნა ათ-ათი პენალტი. მოსკოველები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ პენალტის გამოყენებაში და გიმარჯვეს 12:10.

ცსკა თუ „რეალი“?

როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი კალათბურთში თბილისს დინამოელებმა საკუთარ მოედანზე წაადგეს 17 ქულის სხვაობით. ამ გუნდების მეორე შეხვედრა მოეწყო კვირას მოსკოვში. დინამოელებმა ეს მატჩიც წაადგეს. ამჯერად ერთი ქულის სხვაობით 78:79 (34:45).

ამრიგად, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამ



ყირჩიე, სად გსურს იცნავლო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მ. თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო პროფტექნიკური № 11 სასწავლებელი

აცხადებს 1963-64 სამოსწავლო წლისათვის I კურსზე მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: **წითელი ხის მეავეჯეების; მხატვარ-დეკორატორების; ლითონის მხატვრულად დამუშავების-გრავიორების; ქვის დამუშავების, შემოსვითი და მხატვრული მოზაიკის; მღებავ-მეფილე-მღესავების.**

პირველ კურსზე მიიღებიან 15 წლიდან 17 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ 7-8 კლასის განათლება.

მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შემოტანონ შემდეგი საბუთები: 1. **განცხადება**, 2. **დაბადების მოწმობა** (დედანი), 3. **განათლების მოწმობა** (დედანი) 4. **ავტობიოგრაფია**, 5. **ცნობა** საცხოვრებელი. ადგილიდან, 6. **სამი ფოტოსურათი.**

განცხადებები მიიღება 20 აგვისტომდე დღის 9-დან 5 საათამდე.

სასწავლებელში **მოსწავლეთა შემოწმება** და **ჩარიცხვა** იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე. **სწავლა დაიწყება** პირველ სექტემბერს. სასწავლებელში ჩარიცხული **უზრუნველყოფილი** იქნებიან უფასო სამკერაღი კვებით და ტანსაცმლით.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. № 21, ტელ. 3-09-07, 9-99-61.

შენიშვნა: სასწავლებელს საერთო საცხოვრებელი არა აქვს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული გორის № 89 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963/64 სასწავლო წლისათვის შემდეგი პროფესიის მიხედვით: **1. მრთველები, 2. მქსოველები.**

ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 25 წელს. ახალგაზრდები, რომლებიც **ფრიადზე დაამთავრებენ** ტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის **დაუსწრებელ** და **საღამოს** დასწრებულ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსის გარეშე.

სწავლის პერიოდი 1,5 წელია. მოსწავლეებს სწავლის პერიოდი ეთვლებათ საწარმოო სტაჟად. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ბინით და სტიპენდიით. განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: **სომწოფის ატესტატი** (დედანი), **დაბადების მოწმობა** (დედანი), **ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი** (4×5), **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, პასპორტი.**

საბუთების მიღება იწარმოებს 20 აგვისტოდან. **მეცადინეობა დაიწყება** 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. გორი, ბესიკის ქ. № 2, ტელეფონის № 21-53, 28-55. დამატებითი 14.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის

მექანიკა-მათემატიკის (სპეციალობანი: მათემატიკის, მექანიკის, ასტრონომიის), **ფიზიკის** (სპეციალობანი: რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის და ფიზიკის) (სპეციალიზაციები: მყარი სხეულების ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, თეორიული ფიზიკა, გეოფიზიკა, ფიზიკური კიბერნეტიკა), **ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის** (სპეციალობანი: გეოგრაფიის, გეოლოგიის, ხმელეთის ჰიდროლოგიის), **ბიოლოგიის** (სპეციალობანი: ბოტანიკის, ზოოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის), **ისტორიის, ფილოსოფიის** (სპეციალობანი: ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის), **ფილოლოგიის** (სპეციალობანი: ქართული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, კავკასიური ენების, მათემატიკური ლინგვისტიკის), **დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის** (სპეციალობანი: ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის), **აღმოსავლეთმცოდნეობის** (სპეციალობანი: სპარსული ენისა და ლიტერატურის, თურქული ენისა და ლიტერატურის, არმენოლოგიის, სემიტოლოგიის, აღმოსავლეთის ისტორიის), **ეკონომიური** (სპეციალობანი: მრეწველობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკის, საბუხჰალტრო აღრიცხვის, აღრიცხვისა და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციის, შრომის ეკონომიკის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის) **და იურიდიული** (სპეციალობა: სამართლისმცოდნეობის) ფაკულტეტების დღის სწავლების განყოფილებაზე, ხოლო მექანიკა-მათემატიკის (სპეციალობა: მათემატიკა), **ფიზიკის** (სპეციალობა: ფიზიკა), **ქიმიის, ბიოლოგიის** (სპეციალობანი: ბოტანიკის, ზოოლოგიის), **ისტორიის, ფილოლოგიის** (სპეციალობანი: ქართული ენისა და ლიტერატურის, ჟურნალისტიკის), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (სპეციალობანი: ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის), **ეკონომიური** (სპეციალობანი: მრეწველობის ეკონომიკა (სპეციალიზაცია: ელექტროტექნიკური და მანქანათმშენებლო მრეწველობის ეკონომიკა), ვაჭრობის ეკონომიკა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის, ფინანსებისა და კრედიტის, საბუხჰალტრო აღრიცხვის, სტატისტიკის, შრომის ეკონომიკის) და **იურიდიული** (სპეციალობა: სამართლისმცოდნეობა) **ფაკულტეტების საღამოს სწავლების განყოფილებაზე.**

უნივერსიტეტში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც მიიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება, წარმებისაგან მოწყვეტით (დღის განყოფილების) სწავლებაზე — 35 წლამდე ასაკისა, ხოლო წარმებისაგან მოწყვეტლივ (საღამოს განყოფილება) სწავლებაზე — ასაკის განუსაზღვრელად.

უგამოცდოდ მიიღებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე ან ოქროს და ვერცხლის მედლით, აგრეთვე ის პირნი (სამამულო ომის მონაწილენი), რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სპეციალური სასწავლებლები წარჩინების დიპლომით; დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. მათემატიკის, მექანიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, რადიოფიზიკის და ელექტრონიკის, გეოლოგიის, ხმელეთის ჰიდროლოგიის, აღრიცხვისა და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობებზე — ა. მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ბ. ფიზიკა (ზეპირი)*, გ. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), დ. უცხო ენა (ზეპირი);

2. ქიმიის, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობის სპეციალობებზე — ა. მათემატიკა (ზეპირი)*, ბ. ქიმია (ზეპირი)*, გ. ფიზიკა (ზეპირი)*, დ. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ე. უცხო ენა (ზეპირი);



3. ბოტანიკის, ზოოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობაზე — ა. ფიზიკა (ზეპირი)*, ბ. ქიმია (ზეპირი)*, გ. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), დ. უცხო ენა (ზეპირი);

4. ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთის ისტორიის, საბრთლისმცოდნეობის სპეციალობებზე — ა. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი)*, ბ. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი)*, გ. უცხო ენა (ზეპირი);

5. ქართული ენისა და ლიტერატურის, კავკასიური ენების, ჟურნალისტიკის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის, სპარსული ენისა და ლიტერატურის, თურქული ენისა და ლიტერატურის, სემიტოლოგიის, არმენოლოგიის სპეციალობებზე — ა. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ზეპირი)*, ბ. უცხო ენა (ზეპირი)*, გ. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი);

6. მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალობაზე — ა. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)*, ბ. მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, გ. უცხო ენა (ზეპირი);

7. გეოგრაფიის და ყველა ეკონომიურ (გარდა საქონელმცოდნეობისა და აღრიცხვისა და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა) სპეციალობაზე — ა. მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, ბ. გეოგრაფია (ზეპირი)*, გ. უცხო ენა (ზეპირი), დ. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

საღამოს სწავლებაზე (იმ სპეციალობებზე, რომლებზეც უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას) შემსვლელნი თავისუფლდებიან უცხო ენაში მისაღები გამოცდების ჩაბარებისაგან, იმ სპეციალობებს გარდა, რომლებისთვისაც უცხო ენა მაპროფილებელ დისციპლინას წარმოადგენს.

შენიშვნა: 1. ვარსკვლავით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები; 2. საღამოს განყოფილებაზე შემოსვლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ ქ. თბილისში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობის (სპეციალიზაციის) და განყოფილების (დღის თუ საღამოს) ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დახასიათება უნივერსიტეტში შესასვლელად, გაცემული უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), ხელმოწერილი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტბიუროს ან კომკავშირის ბიუროს მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის მერ, კოლმეურნეთათვის —ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მოსწავლეთათვის — სკოლის პედაგოგიური საბჭოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი წარმოადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილის სარდლობისაგან; 3. ავტობიოგრაფია; 3. დოკუმენტი საშუალო განათლებას შესახებ (დედანი); საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულები დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით (3×4 დამოწმებული); 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მერ, რომელშიც გამომუშავებულ შრომადღეებთან ერთად ნაჩვენები უნდა იყოს, რომ კოლმეურნეობაში თვითეულ წელს აბიტურიენტის მერ გამომუშავებულია ამ კოლმეურნეობისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი (აღნიშნულ დოკუმენტს წარმოადგენენ ის პირები, ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, ხოლო საღამოს განყოფილებაზე მხოლოდ ის პირები, ვისაც აქვს უნივერსიტეტში არჩეული ან მონათესავე სპეციალობით მუშაობის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა). შრომის სტაჟი იანგარიშება 1 სექტემბრისათვის.

შენიშვნა: პასპორტსა და სამხედრო ბილეთს შემომსვლელი წარმოადგენს პირადად.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, 10-დან 15 საათამდე, კონსულტაციები მოეწყობა 15 ივლისიდან,

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის სამდივნოში (I კორპუსი, I სართული) 15-დან 16 საათამდე;

მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1, ტელეფონი 2-73-21 ქვესადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი

აცხადებს კოოპერაციულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მოსწავლეთა მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის სავაჭრო და კულინარიულ განყოფილებებზე.

სავაჭრო განყოფილება ამზადებს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო საწარმოთა **გამგე-გამყიდველებს**, ხოლო **კულინარიული** განყოფილება — **საჯკვების მუშაკებს** (მზარეულ--კონდიტრებს).

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება.

სავაჭრო განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომლებსაც აქვთ სულ მცირე **ერთი წლის მუშაობის საერთო სტაჟი**, ხოლო **კულინარიულ** განყოფილებაზე — **სტაჟის არამქონე პირებიც.**

სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ **ვაჭრობისა** და **საჯკვების** მუშაკებს, **საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულებს და ქალებს**

სწავლება იწარმოებს **ქართულ ენაზე.**

განცხადებები მიიღება 1963 წლის 10 აგვისტომდე.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული განყოფილების ზუსტი აღნიშვნით. განცხადებს უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: **რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის (მოვლინება); ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ; დახასიათება:** ა) იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ მუშაობის სტაჟი — უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ბ) ვისაც არ აქვს მუშაობის სტაჟი, კომკავშირის, რაიკომიდან ან სხვა ორგანიზაციებიდან (კოლმეურნეობიდან, სასოფლო საბჭოდან და სხვ.); **განათლების მოწმობა** (დედანი); **დაბადების მოწმობა** (ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პირი); **ავტობიოგრაფია; ცნობა ჯანმრთელობის** შესახებ (ფორმა № 286); **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ოთხი ფოტოსურათი** ზომით 3×4 სმ (გადაღებული უქუდოდ); **პასპორტი** და **სამხედრო ბილეთი** (უნდა წარმოადგინონ პირადად).

სწავლების ხანგრძლივობაა **სავაჭრო განყოფილებაზე** — 1 წელი, **კულინარიულზე** — 2 წელი.

ჩარიცხვა იწარმოებს არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაკაუბრების შედეგებისა და ატესტატების კონკურსის საფუძველზე.

გაკაუბრება იწარმოებს 10-დან 20 აგვისტომდე.

სასწავლებელში ჩარიცხული მეცადინეობა: საშუალოსნებს 20 მანეთი, კარგოსნებს 25 მანეთი და ფრაადოსნებს 25 პროცენტით მეტი, ვიდრე კარგოსნებს.

სასწავლებელში ჩარიცხულთ ბინის დასაქირავებლად მიეცემათ თვეში 8 მანეთი (აგრეთვე საჭირო ბის შემთხვევაში საწოლის მოწყობილობა) და უზრუნველყოფილი იქნებიან სასადილოს მომსახურებით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაჟა-ფშაველას პრ. № 26, ტელ. 7-24-43; 7-17-12;

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

მცხეთის მხატვრულ-კერამიკული სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის.

სკოლაში მიიღებიან 14-18 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი არანაკლებ 8 კლასის განათლებით. გამოცდები იწარმოებს ხატვასა და ძერწვაში, **გამოცდები 20 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.** სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

სკოლა ამზადებს მომხატველ და მოდელიორ-დამყალობელ სპეციალისტებს. **სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.**

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, ატესტატი (დედანი), პასპორტი (ადგენს პირადად), დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ცალი ფოტოსურათი (ზომა 3×4).

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან გამოცდების პერიოდში საერთო საცხოვრებლით, სკოლაში ჩარიცხულნი — სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლით და სპეცტანსაცმლით.

შენიშვნა: სამამულო ომში დაღუპულთა და სამამულო ომის ინვალიდთა შვილები, აგრეთვე მთლიანად ობლები და საბავშვო სახლში აღზრდილები დამატებით უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით.

საბუთების გამოგზავნა შეიძლება ფოსტით.

მისამართი: ქ. მცხეთა, სტალინის ქ. № 14, მხატვრულ-კერამიკული სკოლის დირექცია.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

9 ივლისი

სანკულტურის — ვახისუბნელი ძმაკაცები, **ფილარმონიის საზაფხულო** — ვანეკა ორიკოს (ბრაზილია) კონცერტი ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით.

ტელევიზია

9 ივლისი

12.00 — კინონარკვევი, 12.20 — მხატვრული ფილმი „სიყვარული სიმღერაში“ (პირველი სერია), 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაში“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „მოსკოვის არალეგალური სტანბა“, 18.55 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.35 — გადაცემა — „შირაქის მიწის ბარაკა“, 19.55 — განცხადებები, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — კონცერტი, 20.50 — მხატვრული ფილმი „სიყვარული სიმღერაში (პირველი სერია), 22.10 — ახალი ამბები.

9 ივლისი

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბალი, ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, გაზაფხული, კოსმოსი** — სამი მუშკეტერი (I-II სერია), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ნაკადული, მზიური** — ფრანგულ ბუხრებთან, **თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კოლმეურნე, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), — არამზადების ბანდა.

რადიო

10 ივლისი

პირველი პროგრამით

06.40 — დ. არაყიშვილი. სიმფონიური პოემა „ჰიმნი ორმეზდს“, 08.25 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 10.45 — საუბარი „საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში“, 11.15 — კონცერტი მორის რაველის ნაწარმოებებიდან, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.25 — ქართული კაბერული მუსიკა, 13.40 — ფრაგმენტები ს. ცინცაძის ბალეტებიდან, 17.15 — უკრაინული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. სტოკი. „მარილიანი კლდეების მიწა“ (გადაცემა პირველი), 18.10 — ლ. გოცირიძის კონცერტი, 18.45 — დებიუსი. „პატარა სიუიტა“, 19.30 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები მოკმედებაში, 20.30 — გადაცემა — „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — გადაცემა ქალებისათვის — რადიოკომპოზიცია „დე მარად კაშკაშებდეს მზე“, 21.30 — ნაწყვეტები დონიცეტის ოპერებიდან, 23.30 — დ. შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო კონცერტი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1963-64 სასწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში შემდეგ სპეციალობებზე

1. **აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და საბუხჰალტრო.
2. **ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით და საბუხჰალტრო.
3. **აჩიგბარის (გალის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, აგრონომიული და საბუხჰალტრო.
4. **ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
5. **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და ვეტერინალური (სომხურ სექტორზე).
6. **ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით.
7. **გაგრის (გუდაუთის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით, საბუხჰალტრო და ზოოტექნიკური მეფუტკრეობის განხრით.
8. **გორლნიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით (ქართულ სექტორზე) აგრონომიული (აზერბაიჯანულ სექტორზე).
9. **ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით.
10. **გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა და საბუხჰალტრო.
11. **ღუბეთის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ვეტერინარული და ზოოტექნიკური.
12. **გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული. განხრით.
13. **გორგაბარეულოს (მასარაძის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, აგრონომიული და საბუხჰალტრო.
14. **დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, საბუხჰალტრო, საგეგმო-საალრიცხო და დეკორაციული მებაღეობა.
15. **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით და საბუხჰალტრო.
16. **ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
17. **თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
18. **კულაშის (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტტექნიკუმში** — ვეტერინარული და ზოოტექნიკური.
19. **ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
20. **ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
21. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია.
22. **მარნეულის (სიღნაღის რაიონი) ზოოვეტტექნიკუმში** — ზოოტექნიკური და ვეტერინარული.
23. **მახარაძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო.
24. **ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობის (ქართულ სექტორზე), ვეტერინარული და საბუხჰალტრო (რუსულ სექტორზე).
25. **ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით და საბუხჰალტრო.
26. **ცხადაძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საგეგმო-საალრიცხო და საბუხჰალტრო.
27. **ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და საბუხჰალტრო.
28. **წინამძღვრიანთკარის (მცხეთის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მეგენახეობის განხრით და დეკორაციული მებაღეობა.
29. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.
30. **ფალიის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** (რუსულ სექტორზე) — ვეტერინარული და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.
31. **ხეთის (ზუგდიდის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, ზოოტექნიკური და აგრონომიული.



დაუსწრებელი სწავლების განყოფილებები არსებობს:

ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან აგრონომიული მეხილეობა-მებოსტნეობის და სასუხჰალტრო სპეციალობებით;

კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმთან ზოოტექნიკური და ვეტერინარული სპეციალობებით;

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმთან მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სპეციალობებით.

ტექნიკუმებში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30-მდე წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული ან სრული საშუალო სკოლის კურსი და წარმატებით ჩაბარებენ შესასვლელ გამოცდებს.

ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლევათ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მივლინებულებს და სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირებს, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულებს, თუ მათ საბჭოთა არმიაში უმსახურიათ არანაკლებ ორი წლისა.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან წარმოებაში მომუშავე ორივე სქესის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა.

დასწრებულ განყოფილებაზე განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე განცხადებები მიიღება 1 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე, მისაღები გამოცდები 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე, ჩარიცხვა 16 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, განათლების მოწმობა (ატესტატი, დედანი) ან საშუალო სკოლის 9, 10, 11 კლასში გადასვლის მოწმობა, ავტობიოგრაფია, ჯანმრთელობის მოწმობა (ფორმა № 286), ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მერ, ხოლო კოლმეურნეებმა — კოლმეურნეობის წიგნაკის ამონაწერი, შემოწმებული გამგეობის მერ, საწარმოდაწესებულებების მერ მოვლინებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ 2 წლისა და წარმოადგინონ ცნობა დადგენილი ფორმის მიხედვით, ტექნიკუმში შემსვლელი პირადად ადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგში მყოფი სამხედრო ვალდებული), ან მიწერის მოწმობას (წვევამდელი), სამ ფოტოსურათს (ზომით 3×4 სმ).

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), მათემატიკაში (წერითი და ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი-თხზულება), მათემატიკაში (წერითი და ზეპირი).

ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და ბინა საერთო წესით.

მეცადინეობა ყველა ტექნიკუმში დაიწყება 1 სექტემბერს.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-98, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 05989